

ო ც ი მ ა

“ ა უ ბ ა დ ი , ტ უ რ ფ ი გ კ ვ ე ა ნ ა ვ ,
ი ლ ხ ი ნ ე , ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ ს ა რ ე ლ ,
დ ა ქ ე ნ ც , ქ ა რ თ ვ ე ლ ი , ს წ ა კ ლ ი ი ა
ს ა შ მ ი რ ბ ლ ი კ ვ ა ს ა რ ე ლ ი ”

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა ლ კ კ ყ ა ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს
კ ო ვ ე ლ თ ვ ი უ რ ი ს ა ბ ა ვ შ ვ ი უ რ ნ ა ლ ი მ ც ი რ ე წ ლ ი ღ ვ ა ნ თ ა თ ვ ი ს



გამარჯობათ, პატარებო!

გამარჯობათ! გამარჯობათ!
ჩემო კარგო პატარებო!
ჩემს ფიქრში და ოცნებაში
ღლე და ლამე ნატარებო!
გოგონებო, ბიჭუნებო,
მოფართქაღე ჩიტუნებო;
მუდამ ფრთებაც ვეტიღებო,
გუდლიებო, კეთიღებო;

ცედენიშო და ჭკვიანებო,
ხედ-ფეხ დაუღგრომედებო;
მოფუსფუსე ფუტკრებივით
გამრჩეებო, მშრომედებო!

სიხარულით, სიხაღისით
სუდ გიტოკავთ ეგ გუღები!
მე სიცოცხლე მიტომ მიყვარს,
თქვენ რომ ქვეყნად მეგუღებით:
და დექსების წერა თქვენოვის
მამხნევებს და მახაღისებს;
მუდამ თქვენზე თუ არ ვფიქრობ,
ერთ წუთსაც ვერ გავძღებ ისე!

თქვენს გაფურჩქვნას როგორ ედის
მშობლიური, ჩვენი მხარე!
გაიფურჩქნეთ, გაიშაღეთ,
იხარეთ და გაგვასარეთ;
და ამაგი დაუფასეთ
ღიღ ბეღაღს და
თქვენს აღმზრდედებს;
სამშობლოსთვის, ხაღისათვის
აღიჭარდეთ, გვასახედეთ!

ილია სიხარულიძე





როგორ სწავლობდა ვ. ი. ლენინი

ვ. ი. ლენინის ღის ა. ი. ურიანოვას მოგონებიდან

5 წლის ვალოდიამ კითხვა დედისაგან ისწავლა. მას და მის დას-ოლიას, რომელიც ვალოდიასთან ერთად სწავლობდა, ძლიერ შეუყვარდათ კითხვა და დაბეჯითებით კითხულობდნენ საბავშვო წიგნებსა და უურნალებს, რომლებსაც მამა უხვად ღებულობდა.

იმათ აგრეთვე მაღლე დაიწყეს მოთხოვნების კითხვა რუსული ისტორიიდან. ზეპირად სწავლობდნენ ღექვებს.

ვალოდია ცხრა-ნახევარი წლისა იყო, როცა გიმნაზიაში შევიდა,—პირველ კლასში.

იგი მონდომებით და ოდვილად სწავლობდა. მას შესანიშნავი ნიჭი ჰქონდა. მამა ვალოდიასაც ისე აჩვევდა გულმოდგინებას, როგორც უფროს და-ქმას, რათა მასაც მოწადინებით და ზუსტად შეესრულებანა დავალება. კიდევ მახსოვს, მისი მასწავლებლები ამბობდნენ: მუდამ ყურადღებით უსმენს კლასში გაკვეთილის ახსნას და ეს მას ძლიერ ეხმარებათ. მისი შესანიშნავი ნიჭის მეოხებით იგი ჩვეულებრივად კლასშივე იმახსოვრებდა მასწავლებლის ახსნილს, და ამიტომაც სახლში გაკვეთილებს სწრაფად ამზადებდა.

გიმნაზიიდან დაბორუნებისას, ვალოდია მამას მოუყვებოდა ხოლმე იმის შესახებ, რაც გაკვეთილებზე ხდებოდა, რაზე ეკითხებოდნენ და როგორ პასუხობდა. რადგან, ჩვეულებრივად მეორდებოდა ერთი და იგივე,—კარგი პასუხები და კარგი ნიშნები, ამიტომ ვალოდია ზოგჯერ ზევით, თავის ოთახში რომ ადიოდა, სწრაფად ჩაუვლიდა მამის კაბინეტს და გზადაგზა სხა-პასუხით პატაკობდა: „ბერძნულში—ხუთი, გერმანულში—ხუთი!“...

საგნები ცხადია იცვლებოდა; ხანდახან გაისმოდა: „ლათინურში—ხუთი, ალგებრაში—ხუთი“, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ჩვეულებრივად ერთ ნიშანს 5-ს იღებდა. იმ წლებში მამა ეტუოდა ხოლმე დედას: ვალოდია ყველაფერს იოლად სძლევს, და ვშიშობ რამ მას შრომის უნარი არ გამოუმუშავდებათ. ჩვენ ახლა ვიცით, ეს შიში გადაჭარბებული იყო და რომ ვალოდიამ შესძლო გამოემუშავებინა განსაკუთრებული შრომისუნარიანობა.



ნაძვის ხე სოკოლნიკში

ნაძვის ხის მოსატანად შორს არ დაგვჭირდა წასვლა. აქვე, სოკოლნიკში შედარებით კარგი, ქოჩორა ხე ავარჩიეთ, მოვჭერით და ჩამოვიტანეთ სატყეო სკოლაში.

ბავშვებმა ნახეს, თუ როგორ მიაჭიდეს ნაძვის ხე ორ გადაჯვარედინებულ ფიცარს, რათა ის იატაკზე უფრო მაგრად მდგარიყო. შემდეგ ვალრადია მონტიორმა გაიყვანა მავთული ნაძვის გასანათებლად, ტოტებზე ჩამოჰკიდა ელექტრონათურები.

მეორე დღეს თითქმის დილადრიანად დაუწყეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს ლოდინი. ჯერ არ დაბინდებულიყო, ბავშვები კი ყოველწუთს ეკითხებოდნენ სკოლის მნეს:

— ლენინი რომ არ მოვიდეს?..

— ქარბუქი რომ ისევ ამოვარდეს, მაინც მოვა ლენინი?..

მნედ მუშაობდა პეტროგრადელი ძველი მუშა. ის ლენინს იცნობდა ჯერ კიდევ რევოლუციამდე. ამიტომაც სწორედ მას აძლევდნენ ასეთ კითხვებს. ისიც დარწმუნებით უპასუხებდა:

— რადგანაც ვლადიმერ ილიას-ძემ თქვა ჩამოვალო, უსათუოდ ჩამოვა.

დადგა საღამო. ქარბუქი მართლაც ამოვარდა. ფიჭვებში ქარი აზუზუნდა. მიწაზე მშრალი თოვლის კორიანტელი დადგა და შემდეგ ციდან წამოვიდნენ თეთრი ფიფქები.

ნაძვის ხე უკვე მორთული იყო. ყველა სათამაშო თვით ბავშვებმა გააკეთეს. იყვნენ დათვებიც, კურ-

დღლებიც და სპილოებიც. ყველაზე უკეთესი კი ლოყებწითელი თეთრწვერა თოვლის ბაბუა იყო, რომელიც ნაძვისხის კენწეროზე იჯდა.

დრო გადიოდა, ლენინი კი ისევ არ ჩანდა.

ამ დროს ბავშვებმა გაიგონეს, უფროსებში ვიღაცამ ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— რა თქმა უნდა, ასეთ ქარბუქში ვერ ჩამოვა.

ბავშვებმა კვლავ მოხუც მნესთან მიირბინეს.

მნემ მკაცრად უთხრა:


— რას ჩამაცივდით! ხომ გითხარით: რადგან მან თქვა ჩამოვალო, უსათუოდ ჩამოვა.

კვლავ განაგრძეს ლოდინი. ეზოში ქარი ზმუს, მშრალი თოვლი ფანჯრის მინებს ხმაურით აწყდება. ასეთ ხმაურში ვერც კი გაიგეს, როგორ მოვიდა სკოლასთან მანქანა. მანქანიდან გადმოვიდა ვლადიმერ ილიას-ძე.

ის ავიდა კიბეებზე, პალტო გაიხადა, ცხვირსახოცით მოიწმინდა გამდნარი თოვლისაგან დასველებული სახე და მაშინვე გაემართა დიდოთახში ბავშვებთან.

ბავშვებმა მაშინვე იცნეს იგი: რამდენჯერ უნახავთ მათ ლენინის პორტრეტი! მაგრამ პირველად რატომდაც დაიბნენ, — ერთ ადგილს იდგნენ და არ ინძრეოდნენ. უყურებდნენ ლენინს და სღუმდნენ.

ვლადიმერ ილიას-ძემ დიდხანს არ დააყოვნა, ლიმილით მოჭუტა თვალები და ბავშვებს შეეკითხა:



— აბა, რომელმა თქვენგანმა იცის კატა-თაგვობიას თამაში?..

პირველად უბასუხა ყველაზე უფროსმა გოგონამ—ვერამ:

— მე!

— მეც! — დაიყვირა ხმამაღლა ბიჭუნა ლიოშამ.

— მაშ, შენ კატა იყავი, — თქვა ვლადიმერ ილიას-ძემ.

ბავშვებმა ნაძვის ხეს წრე შემოარტყეს. თაგუნად პატარა კატია აირჩიეს. ლიოშა კატიას სწვდა — მისი დაჭერა არ იყო ძნელი, მაგრამ კატია ლენინს ჩამოებლაუჭა და ვლადიმერ ილიას-ძემ ხელში აიყვანა:

— კატა თაგვს ვერ შესწვდება!

შემდეგ თაგვი სენია იყო. ლიოშამ დაიჭირა იგი. ახლა ლიოშა იყო თაგვი, სენია კი — კატა.

დიდხანს ითამაშეს და ყველას დასცხა.

უცბად, გაიღო კარი და ოთახში შემოვიდა დიდი, ნაცრისფერი სპილო. ბავშვებმა ერთხმად შესჭყივლეს: თუმცა, მართალია, ბევრმა მა-

თგანმა მაშინვე იცნო სკოლის როიალის ნაცრისფერი გადასაფარებელი, მაგრამ ვინ არის გადასაფარებლის ქვეშ?.. სპილო ნელა ქანაობდა. წინ დიდ ხორთუმს არხევდა. სპილოს წინა ფეხებზე თექის ჩექმები ეცვა, უკანა ფეხებზე კი დაბალყელიანი წალები. თუ ჩაციებით არ დავაკვირდებოდით, იგი ძალიან ჰგავდა ნამდვილ სპილოს. სპილომ დრუხუნით შემოიარა ნაძვის ხის გარშემო, გამომშვიდობებისას დაიქნია ხორთუმი და ბოლოს ისევ ქანაობით გაეშურა კარებისაკენ. კარს იქით გადასაფარებლიდან გამოძვრნენ ვალოდია მონტიორი და სკოლის დარაჯი. ორივენი სხვადასხვა გამოგონებათა ასტატები იყვნენ. გამოძვრნენ გადასაფარებლიდან და ოთახში დაბრუნდნენ. ბავშვები ხარხარებდნენ. მათი სიცილისაგან ნაძვის ხის კენწეროზე თოვლის ბაბუა ხტოდა.

მრავალი მხიარული გასართობი იყო კიდევ იმ საღამოს.

ერთ-ერთშა ბავშვმა დაიძახა:
— ახლა თვალხუჭანა ვითამაშოთ,
თვალხუჭანა!

ვლადიმერ ილიას-ძემ ამოილო
ცხვირსახოცი და თვალები აიხვია.
ვალოდია მონტიორმა სწრაფად გა-
დადგა ნაძვის ხე კუთხეში და ოთახ-
ში აღვილი განთავისუფლდა.

ლენინმა გაშალა ხელები და წინ
წავიდა.

ბავშვები მიმოიფანტნენ.

შემდეგ ფრთხილად უახლოვდე-
ბოდნენ ვლადიმერ ილიას-ძეს და
იძახდნენ: — „ცხელა!“ ხოლო, როცა
ვლადიმერ ილიას-ძე სულ ახლოს
იყო მათთან, ბავშვები უყვიროდნენ
მას: „დაიწვები!“

ხან კი, იქვე, მისი ხელის ქვეშ ჩა-
სკუპდებოდნენ, — ის კი შეუხებლად
ჩაუვლიდა გვერდს. მაშინ ბავშვები
ყვიროდნენ:

— ცივა, გაიყინები!

ლენინი მიხვდა, რომ ბავშვები
ყველანი ძალიან ეშმაკები არიან, მო-
ხერხებულად თამაშობენ და რო-
გორც ჩანს მას დიდხანს მოუხდება
ახვეული თვალებით სიარული.

მაშინ მან თავი ისე მოაჩვენა, თი-
თქოს წინ მიდიოდა, ნამდვილად კი
უცბად ცერებზე შემოტრიალდა და
დაიჭირა, ზურგსუკან პირველად ვინც
ხელში მოხვდა.

როგორც წესი მოითხოვდა, ბავ-
შვები აყვირდნენ.

— აბა, გამოიცანი! გამოიცანი!

დაჭრილი ცდილობდა ხელიდან
გასხლომოდა და იცინოდა; ეს იყო
ბიჭუნა სენია.

ვლადიმერ ილიას-ძემ თბაზე ხელი
გადაუსვა, ხელით შეეხო მის შუბლს,
ლოყებს და თქვა:

— სენია!

სენიას გული სწყდებოდა, რომ
დაიჭირეს, მაგრამ ესიამოვნა, რომ
ლენინმა იგი დაიხსომა.

შემდეგ პატარა კატია კითხულო-
ბდა პუშკინის ლექსს, შეეშალა და
ატიორდა.

ლენინმა იგი დაამშვიდა.

კატიამ ტირილი შესწყვიტა, თვა-
ლები ცხვირსახოცით მოიწმინდა
და უთხრა:

— ნუ წახვალთ ჩვენგან, ლენინ!
ჩვენთან იცხოვრეთ!

ლენინმა გაიცინა:

— მე ისედაც შორს არ ვცხო-
ვრობ!


შემდეგ ყველანი დარბოდნენ ნა-
ძვის ხის გარშემო. პატარა კატია
მირბოდა ვლადიმერ ილიას-ძის გვე-
რდით; მას ხელი ჩაეკიდა კატიას-
თვის. ლენინის ხელი იყო დიდი
და თბილი.

ამ დროს ნადეჯდა კონსტანტინეს
ასულმა კრუპსკაიამ და ვლადიმერ
ილიას-ძის დამ მარია ილიას ასულ-
მა შემოიტანეს ოთახში დიდი კა-
ლათი სავსე საჩუქრებით. ეს საჩუქ-
რები ლენინმა ჩამოუტანა ბავშვებს.

ვის ავტომობილი შეხვდა, ვის—
საყვირი, ვის—ღოლი. კატიამ დედო-
ფალა მიიღო.

ლენინი კი შეუმჩნევლად გავიდა
ოთახიდან და წავიდა.

აი, ასეთი იყო ნაძვისხე 1919
წელს სოკოლნიკში.



ელენა აგლაძე

ნახატები გრ. ჩირინა შვილისა

პიონერთა სასახლე

მაიას და გიას ძლიერ უყვართ ზღაპრები. მერე რა მშვენიერი ზღაპრები იცის ბებია კატომ! დაჯდება თუ არა საყვარელი ბებიკო სავარელზე, წამსვე აქეთ-იქით მიუსხდებიან გია და მაია, და ისმენენ გატაცებით დაუვიწყარ ამბებს ჭკვიან მურიაზე, მშიშარა კურდლელზე, მფრინავ ხალიჩაზე, ბროლის სახლეზე და ვინ მოთვლის კიდევ რაზე....

— გვიამბე, კიდევ გვიამბე ზღაპარი! — ეხვეწებიან ბავშვები ბებიას.

და აი, საკვირველი ამბავი მოხდა: ბებია კატომ უარი უთხრა შვილი-შვილებს:

— არა, ჩემო კუდრაჭებო, დღეს ზღაპარს აღარ გიამბობთ; სამაგიოროდ ზღაპრულ სასახლეში წაგიუვანთ. თანახმა ხართ?

— თანახმა ვართ, ბებია, გვიჩვენე ზღაპრული სასახლე! — ერთხმად შესძახეს ბავშვებმა.

მაია და გია პატარები არიან. მათ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ უნახავთ. „ნეტავ როგორი უნდა იყოს ზღაპრული სასახლე?“ — ფიქრობენ ბავშვები და ბებიასთან ერთად გზაზე მიეშურებიან.

უცბათ, მათი ყურადღება თაღებიანმა დიდმა შენობამ მიიპყრო.


— აი, კიდეც მოვედით! — თქვა ბებიამ.

სტუმრებს მორიგე შეეგება და წინ გაუძლვა სასახლის დასათვალიერებლად.

— ეს ნორჩ ავიამოდელისტთა კაბინეტია, — უთხრა მათ მორიგემ.

ათასგვარი ზომისა და ფორმის „თვითმფრინავი“ ნახეს იქ გიამ და მაიამ. მათ გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც შეიტყეს, რომ ამ „თვითმფრინავებს“ ბავშვები ამზადებენ. იქვე გამალებით მუშაობდნენ ავიამოდელისტები: ხერხავდნენ: აშალაშინებდნენ, აწებებდნენ.

აი, ერთი მათგანი ადგა და ჰაერში გაუშვა პატარა, სიფრიფანა საოთახო მოდელი. მოდელი ჭერისაკენ გაქანდა და დაიწყო წრისებური ფრენა. უცბათ ბავშვების ყურადღება გუგუნმა მიიპყრო: მეორე ავიამოდელისტი ძრავიანი თვითმფრინავის მოდელის მუშაობას ამოწმებდა. ძლივს გამოიყვანა ბავშვები ბებიამ ამ კაბინეტიდან. სადურვლო და საზეინკლო სახელოსნოშიც დაზ-



გებთან წითელყელსახვევიანი პიონერები მუშაობდნენ.

აგერ, ტრანსპორტის კაბინეტი. პატარა მატარებელი ელვისებური სისწრაფით შევარდება გვირაბში და ისევ გამოჩნდება, აქვე საბაგირო გზას ერთი მთიდან მეორისაკენ გადაჰყავს „მგზავრები“, ხოლო ბარიდან მთისაკენ მიემართება მოძრავი კიბე—ესკალატორი.

— ესეც ბავშვებმა გააკეთეს? — იკითხა გაკვირვებულმა მაიამ.

— კი, ჩემო პატარავ, ბავშვებმა; მალე შენც გაიზრდები და გააკეთებ ასეთ მატარებელს, — მიუგო მასწავლებელმა.

რადიოკაბინეტში ათასგვარი მიმღები ნახეს ბავშვებმა, მაგრამ ყველაზე მეტად მათ რადიომიმღები „ნამცეცი“ მოეწონათ. ეს მიმღები

მართლაც ნამცეცი იყო, სულ პატარა!

— აბა, მოისმინეთ, როგორ მუშაობს ჩვენი „ნამცეცი“, — მიმართა პატარებს მასწავლებელმა. გია და მაია დიდხანს ისმენდნენ რადიოგადაცემას და მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა..

ბავშვები ზედა სართულში აიყვანეს. აქ, დიდ და ულამაზეს დარბაზში ნახეს მაკეტი პატარა სახლისა, სადაც დაიბადა ძია სტალინი. ნახეს ძია ლენინის ბავშვობის სურათები, პატარა სოსოს და მისი დედის პორტრეტები და ბევრი სხვა საინტერესო რამ.

სათამაშოების ოთახი სავსე იყო ბავშვებით. ერთი მათგანი პატარა პიანინოზე უკრავდა, მეორე რებუსის ამოხსნას ცდილობდა, სხვები ათასგვარი სამაგიდო სათამაშოებით

ერთობოდნენ. მეორე ოთახში, ხალიჩაზე მოკალათებულ ბავშვებს მასწავლებელი ზღაპარს უამბობდა.

ბავშვები ახლა სხვა ოთახებისაკენ წაიყვანა ბებიამ, უჩვენა მათ სამკითხველო დარბაზები, ფიზიკის, ქიმიის და სხვა კაბინეტები.

ერთ-ერთ კაბინეტში ბავშვებმა აუარებელი რუკები და გლობუსები ნახეს;

ჭალის მაგივრად ჭერზე დიდი გლობუსი ანათებდა, ეს იყო გეოგრაფიის კაბინეტი.

— ამ კაბინეტში კი ნორჩი მიჩურინელები მუშაობენ, — აუხსნა მათ მორიგემ.

გია და მაია თვალს ვერ აშორებდნენ აქროსფერ თევზებს, რომლებიც ელვის სისწრაფით სრიალებდნენ აკვარიუმში. იქვე გალიაში გემრიელად ახრამუნებდა ბოსტნეულს თეთრი ზღვის გოჭი. მტრედები საამოდ ღუღუნებდნენ.

აი, საცეკვაო დარბაზიც. შავ ჩოხებში გამოწყობილი პატარა ბიჭუნები გატაცებით ცეკვავენ. გიასაც უნდა, რომ ეცვას ასეთი ტანსაცმელი და მათთან ერთად ცეკვავდეს!

გია და მაია თოჯინების თეატრში შეიყვანეს. იქ წითელი ხავერდის

ფარდა გადაიწია და პატარა სცენაზე გამოჩნდა ფისო, მამლაყინწა, კურდლელი და გრძელკუდა მელია. ბავშვებს ძალიან მოეწონათ ფისუნიას და მამლაყინწას ზღაპარი.

წარმოდგენის დამთავრებისას პატარა მსახიობები — პიონერები მაყურებლებმა ტაშით დააჯილდოეს.

ბევრი საინტერესო რამ ნახეს კიდევ გიამ და მაიამ: ხატვისა და ძერწვის, ტურიზმისა და ჭადრაკის კაბინეტები, თვალისმომჭრელი სილამაზის სარკეებიანი დარბაზი, და ბოლოს ნაძვნარით, ბზის ბუჩქებით და ყვავილებით დამშვენებულ ბაღში გავიდნენ.

— ეს სასახლე ხომ უფრო ლამაზია, ვიდრე ის ბროლის სასახლე, რომელზედაც შენ გვიამბობდი! — ყურში ჩასჩურჩულა ბებიას მაიამ.

— კი, ჩემო კუდრაჭა, ეს სასახლე, რომელიც ძია ბერიამ აჩუქა ბავშვებს, უფრო ლამაზი და მომხიბვლელია, ვიდრე ზღაპრებში ნაამბობი... ეს ზღაპრული სასახლეა!

— არა, ბებო, — მიუგო გიამ, — ეს არ არის ზღაპრული სასახლე, ეს ნამდვილი სასახლეა, პიონერების სასახლე!



ძია სტადინის სურათი

ძია სტადინის სურათი
ჩემს მაგიდასთან ჰქიდია;
იგი ოთახში შუქს აფრქვევს,—
ღიდა არის თუ ბინძია.

როცა ღავჭდები, ღავიწყებ
ჩიგნის კითხვას, ან წერასა,
ის, როგორც მამა-მშობელი
აღერსით მიწყებს ცქერასა.

ხან თითქოს მესაუბრება:
— ყოჩალ შენ, ბიჭო, ვაჟაო,


კაციც ის არის, ვისაც კი
უყვარს შრომა და გარჭაო.

ღლესაც ვუცქერდი მის სახეს
და სიხარულით ვლედავდი,
ცგრძნობ, ჩემს სწავლას და ცხოვრებას
ოვაღყურს აღევნებს ბერავი.

მე მისი შუქის ნათერმა
მომავრდის კარი გამილო,
და განა მეპატიება
სწავლაში გმირი არ ვიყო!?

ანდრო თევზაბე

თინა ციგით მისრიალებს



თმაქოჩირა პატარებო,
აღბათ ხშირად გაგონდებით
მაღად მთაზე თავისუფრად
მონავარე ვაგონები.

ერთი ზევით მიიჩქარის,—
გაგაკვირვებთ სიღალითა.
მეორე კი ძირს ეშვება
თუაღუწვენედ სიმაღლიდან.

ნარგავები გვერაჭობენ
ერთმანეთზე მიყოლებით.
ყოველმხრიდან დაგვინახავთ
ისეთ აღგიძს ვიმყოფებით.

მოღით, რიგი ღაიკავეთ,
კიბეებთან ჩამომწკრიველით.
ბერავის მთა გეღორებათ
თქვენსკენ ხელებგამოწვეიდი.


აქ ბავშვები ყოველ კვირას
თავს იყრიან ათასობით.
ხეივნები სავსე არის
სხვადასხვაგვარ გასართობით.

ახალ-ახალ სტუმრებს ვიღებთ,
გავისტუმრეთ გუშინდედი,
ზამთარ-ზაფხულ ღავსრიაღებთ,
აღმართს როდი ვუმინდებით.

პატარები შემოსიღან
ბენვეუდის ტანსაცმელით.
თოვედის მოსვედას ჰაღსაბები
შექხარიან აღტაცებით.

თინა ციგით მოსრიაღებს,
ავთანდიდი—თხიდამურით,
შორიდანვე ისმის მაოი
შეძახიდი მხიარუდი.

თინა ციგით მოსრიაღებს
ნახატი ი. სუხიშვილისა



კუთავან ელისაგადაშვილი

ნახატი ალ. ბანძელაძესა

თურქმენეთის სოფელში

აი-ნორი მამის აქლემზე იჯდა და მოწყენილი გაჰყურებდა მის წინ მიმავალ ნახირს. მწყემსის გოგონა მოელს თვეს მოსდევდა საძოვრებიდან მომავალ ჯოგს; აი-ნორი, მთელ ზაფხულს მთაში ჰყავდა მამას, რადგან იმათ სოფელში აუტანელი სიცხე იცოდა, წყალიც მღვრიე და უგემური იყო. ჯოგი ერთხანს მღინარე ამჟღარისის უხვეშეყლიან კალაპოტს მოჰყვებოდა. მუდამ დათოვლილ პამირის მთების მწვერვალებიდან მოჩუხჩუხე ნაკადულები, გარეული მტრედების ღულუნი და ჭრელი ყვავილებით აფერადებული მინდვრები ართობდნენ აი-ნორს.

მაგრამ, რაც უფრო ბარში ჩამოდიოდნენ, მხით გადამწვარი თვალუწვდენელი ველები და არხებით დასერილი. ბამბის პლანტაციები დაუსრულებლივ გადაბმოდნენ ერთიმეორეს, და აი-ნორი ისე მიიჩაროდა სახლში, როგორც არასოდეს.

აგრე, იქით, ბამბის პლანტაციებს იქით

არის აი-ნორის საყვარელი სოფელი. სახლის გახსენებაზე გოგონა უეცრად წიმოწითლდა; ჩქარა ნახავს საყვარელ დედა მაირამს. მზით დამწვარ ლოებზე მიეხურება. დედაც გულში ჩაიკრავს შვილს, ჭრელ ქუდის მოხდის, დაბამბულ ხალათზე დაფენილ ნაწნავებს დაუთვლის და ნახავს, როგორ უვლიდა უდედოთ თმებს აი-ნორი.

— ბავშვებმა დიდი ხანია დაიწყეს სწავლა, შენ რატომ დაიგვიანე? — ეტყვის საუკედურს. „მამის ბრალია, მიმის“. — გაიფიქრა გოგონამ, აქლემი მიატოვა და ჯოგის ნაპირში მიმავალ ტაჯიბეისთან მიირბინა.

— როდის მივალთ, მამა? — განიერი ჯუბის კალთაში ჩაავლო ხელი და შავი თვალები შეანათა.

— თუ კი იქავეა ჩვენი სოფელი, ჩქარა მივალა, შვილო. დედა მაირამიც ალბათ ბანზე დგას და აქეთ იყურება, ჩვენ მიგველის. — შეავლო თვალი ტაჯიბეიმ დილის მზეს და შვილს ხელი მოჰყიდა.

ჯოგი ჩქარა შეეფინა სოფლის შუკებს, მაგრამ მაირაძი არ გამოჰყებებიათ ბანზე. არც სოფლის გოგო-ბიჭებს აუტეხიათ ერიამული მეჯოგეების მოსვლის გამო.

ჟარაზე გაჩერებული ტაჯიბეი დაკვირვებით ათვალიერებდა სოფელში მოტანილ მიწის სათხრელ მანქანებსა და ამწევ ონ-კანებს. თვალცრემლიან აი-ნორს უხსნიდა, რომ მათ აქ არყოფნაში, დიდი საქე გადაწყვეტილიყო.

— ძმებო, ასრულებულა ჩვენი ოცნება! — გასძინა ტაჯიბეიმ გაოცებულ მწყემსებს, რომლებიც უკაცურ სოფელში ბლავილით გაფანტულ ნახირს თავს უყრიდნენ. — წყალი გვექნება, წყალი! — ტაიძახა გახარებულმა მეჯოგემ და აი-ნორი ჰაერში აიტაცა.

ნასოფლარის მტვრიან გზაზე მანქანა გამოჩნდა, მეჯოგეების შესაგებებლად სწრაფად ჩაიქროლა შუკა და ტაჯიბეის წინ გაჩერდა.

— ტაშპულეტ, სად არის ჩვენი ახალი სოფელი? — შესძინა ომახიანად ტაჯიბეიმ მანქანიდან გადმოსულ ახალგაზრდისა და გადაეხვია.

— ავერ, იქით, ტაჯიბეი! იცი, რა კარგი სახლი გაქვს?! ახდა ჩვენი ოცნება: მთავრობამ არხის მშენებლობა დაიწყო. ახლა თურქენეთი უწყლობით როდი დაიტანჯება. მდინარე ამუ-დარია ჩრდილოეთით კი აღარ წავა; კალაპოტს შეუცლიან და ი, ასე, ჩვენს ნასოფლარზე გადაივლის ახალი არხი. შემოუვლის სარაყამიშის ქვაბულს და ყარა-ყუმის უდაბნოზე გადავლით დასავლეთ თურქენეთის მიდამოებსაც მორწყივს.

— უჰ, ძმობილო, მოწყურებული დედამიწა წყურვილს მოიკლავს. ხე გაიხარებს! — შესძინა ტაჯიბეიმ ტაშპულეტის

ირგვლივ შემოკრებილ მწყემსებს. აი-ნორს ხელი გაუშვა და ტყავის ფაფანაკი მიწაზე ხილისიანად დაანარცხა.

თუ კა წყალი იქნა, ტაჯიბეიც დიდ ბალს გააშენებს. მოვა: ყურძენი, ნუში, ხურმა და ნესვი, რომელიც აი-ნორს ისე ძლიერ უყვარს!

• • •
მოსალამოვდა.

ახალი სოფლის გზაზე ზაფხულის საძოვრებიდან მომავალ ჯოგს ბავშვების ხალისიანი გუნდი უივილ-ხივილით შეეგება.

გახარებული აი-ნორი აქლემიდან გადმოხტა, ტოლებს შეუერთდა და მაღვა მათთან ერთად მირბოდა ჟარაზე; აღტაცებული ათვალიერებდა ახალ სოფელს და მეგობრებს სკოლის ამბებს ეკითხებოდა.

სკოლისა და სოფლის საბჭოს მოზრდილ შენობის ირგვლივ პატარა აივნიანი ქვის თეთრი სახლები მომხიბლავად გაშლილიყვნენ. გზის პირზე მდგარ სახლის აივაზე აი-ნორმა დედა დაინახა.

— ჩემო გოგონა! — გადმოსძახა გახარებულმა ქალმა აივნიდან და კიბის ათიოდე სიფეხურზე ჩამოირჩინა.

ხელში აყვანილი აი-ნორის პატარა ძმა მიწაზე დასვა და ხელებგაშლილი შვილისაკენ გაექანა.

• • •
დალამზდა.

მზით გამთბარ უწყლო ველებს სითბო ალვილად დაეკარგა და საგრძნობლად აცივდა.

ტაჯიბეი, სოფლის შუახის მამაკაცებთან ერთად, ოთახის იატაკზე გაფენილ ნოხზე ფეხმორთხმული იჯდა. ცსინი აუჩქარებლად სვამდნენ ჩაის და საუბრობდნენ ახალი არხის გაყვანის შესახებ.

აი-ნორი კი დედასთან ერთად მეორე ოთახში ძმის იკვანთან იჯდა და სახვალიოდ სასწავლო წიგნებს ჩანთაში იწყომდა.

ყვავი და კიბო

რუსული ხალხური ზღაპარი

ერთი ყვავი მდინარის ნაპირას
მიფრინავდა. ხედავს და რასა, ხე-
დავს—მიცოცავს კიბო.

ყვავი უცბად სწვდა, მოიგდო ნი-
სკარტში კიბო და ჩამოჯდა ხის
ტოტზე საუზმის მისართმევად.

კიბო გრძნობს, ცუდათაა მისი სა-
ქმე, იღუპება. და ასე მიმართა ყვავს:

— ეჭ, ყვავო, ყვანჩალა, კარგად
ვიცნობდი შენს დედას, მამას, დი-
დებული ფრინველები იყვნენ.

— ჰო...—პირის გაუღებლად წაი-
დუდლუნა ყვავმა.

— შენს და-ძმებსაც ვიცნობდი,—
რა კეთილი ფრინველები იყვნენ!

— ჰო...—ისევ უბასუხა ყვავმა.

— კარგი ფრინველები იყვნენ
ისინი, მაგრამ შენთან რას მოვლენ,—
შენზე ჭკვიანი მე არავინ მინახავს!

ესიამოვნა ქება-დიდება ყვავს.



— ყვაა!..—წამოსცდა მეტი სი-
მოვნებისაგან თავბრუდახვეულს, და
ყვავის ნისკარტიდან განთავისუ-
ფლებული კიბო წყალში ჩავარდა.
ნახატი ი. გაბაშვილისა

ახორ მნელი

ზამთარი

ნახატი ე. ლალისა

რვა ზამთარი გავიარე,
ესეც მეცხრე ზამთარი!
რა ლამაზად დაითოვა
მშობლიური მთა-ბარი.
თოვს. სკოლის გზა, სკოლის ეზო,
სკოლის ზარის წკრიალი
კიდევ უფრო წარმტაცია,
უფრო ხალისიანი.
თოვლმა უფრო შემაყვარა
წიგნი—ცოდნის მქედელი,
ჩემი კარგი მეგობრები,
ჩემი მასწავლებელი!

აგერ კვირაც გათენდება
სულ სხვა მხიარულებით:
მთელი რაზმი სოფლის გარეთ
წავალთ თხილამურებით.
ვისერნებთ, ტყეს ვეწვევით
სხვა ფერებით დახატულს.
ზამთრის ზღაპარს ვათქმევინებთ
ტკბილმოუბარ ნაკადულს.
თოვს. სკოლის გზა, სკოლის ეზო,
სკოლის ზარის წკრიალი
კიდევ უფრო წარმტაცია,
უფრო ხალისიანი!



ბები

მარჯნის კუნძულზე, კოკოსის პალმის ჩეროში ორი პოლინეზიელი *) ბიჭი იჯდა. ისინი ძმები იყვნენ. ერთი რვა წლისა იქნებოდა, მეორე კი თხუთმეტისა.

კუნძულს გარს ერტყა კეკანე. ირგვლივ სულის შემხუთავი სიცხე იდგა. კოკოსის პალმაზე ორი დიდი კიბორჩხალა ადიოდა.

— შეხე ამ ქურდებს! — წამოიყვირა უმცროსმა ძმამ და წამოხტა. — ქვა ვესროლოთ!

— იჯეჭი, — უთხრა უფროსმა, — კიბორჩხალა ქვევით რომ ჩამოვა, კოკოსის ნაყოფი წავართვათ და შევჭამოთ.

— იქნებ არ ჩამოიტანოს ნაყოფი და იქვე შესანსლოს?

— მაშინ მარჯნის ნატეხი ვესროლოთ კიბორჩხალას და ჩამოვაგდოთ.


ოკეანეზე ჩვეულებისამებრ არ დასრიალებდნენ პოლინეზიელ მებადურთა ვიწრო, გრძელი ნავები. კუნძულზე ამერიკელები აეროდრომებს აშენებდნენ და კუნძულის მოსახლეობას იქ ამუშავებდნენ.

— ვიბანაოთ, ეგებ ცოტა გავგრილდეთ, — თქვა უფროსმა ძმამ. — ოლონდ ღრმად ნუ შევალთ, საშიშია.

— ვიბანაოთ, — დაეთანხმა უმცროსი.

ბიჭები წყალში ღრმად არ შესულან. ნაპირთან ჰყუმპალაობდენ. ამ ღროს წყალში ჩასაფრებულმა, უზარმაზარმა ნათელ-თევზამ შენიშნა მობანავე ბიჭები და ნელ-ნელა მიეპარა. ნათელ-თევზა ძმებს მიუახლოვდა, მაგრამ მკერდით ფსკერს შეეხო და ცურვა გაუჭირდა, ის ზევით ოდნავ რომ აწეულიყო, ბიჭები მის თეთრ ზურგს დაინახავდნენ და ნაპირს მიაშურებდნენ. ამიტომ ფრთხილობდა ნათელ-თევზა, — ეს ზღვის ყაჩალი; თავის ათ მეტრიან ტანს ოდნავ ამოძრავებდა, მარჯნის ხორკლიან ფსკერზე მიხოხავდა და წინ მიიწევდა ბავშვების მოსატაცებლად. ნათელ-თევზა სულ ახლოს იყო ბიჭებთან, როცა უფროსმა იგი შენიშნა, უმცროსს ხელი სტაცა და ორივენი ნაპირზე აცვივდნენ.

გაწბილებული ნათელ-თევზა ერთხანს უძრავად იწვა ფსკერზე; ბიჭები ისევ შემოვლენ წყალში და მაშინ კი ვერსად წამივლენო. მერე



*) პოლინეზია ეწოდება კუნძულების ჯგუფს წყნარ კეკანეზე. კუნძულებზე ბატონხენ ინგლისელები, ფრანგები და აშერიკელები.

ბოლო მძლავრად მოიქნია, ნაპირს მოშორდა, ზღვას დიდ კუს წააწყდა და შეახრამუნა.

ძმები შიშისაგან კანკალებდნენ.

— ამერიკელები სადაც ბანაობენ, იქ, წყალში ფოლადის ბადეა ჩაშვებული, ნათელ-თევზა ვერაფერს დაგვაკლებს, იქ ვიბანაოთ!

— ოჰ, ეს მართლა კარგია, — გაეხარდა უმცროსს.

ძმები ნაპირს გაპყვნენ.

ამერიკელები ყვინთავდნენ, ბანაობდნენ ფოლადის ბადით შემოლობილ წყალში.

— შეხე, რა მშვენიერი საბანაოა — ჩურჩულებდა ალფროთოვანებული უმცროსი ძმა. შავი ბიჭები წყალს რომ მიადგნენ, ნაპირზე მჯდომარე შიშველმა ამერიკელმა მათ ხელით ანიშნა, — უკან გაბრუნდითო.

ძმებმა ერთმანეთს შეხედეს გაკვირვებით; ოკეანე სავსეა ადამიანისათვის საშიშ თევზებით. ცხადია, ბავშვები მიღიან მხოლოდ იმისათვის რომ იბანაონ. რა არის აქ ცუდი? ნუთუ ამერიკელებს სურთ, რომ პოლინეზიელი ბიჭები ნათელ-თევზამ გადაყლაპოს? ამერიკელებსაც ხომ ჰყავთ შვილები?

ძმებმა წყალში შესვლა დააპირეს. მაშინ ერთი ამერიკელი პოლინეზიელ ბიჭებს დაედევნა და უფროს ყურში სტაცა ხელი:

— სადაც თეთრები ბანაობენ, როგორ ბედავთ იქ ბანაობას! — დაუტარანა ბიჭებს და უფროს სილა გააწენა.

უმცროსი ძმა ეცა ამერიკელს და ხელზე უკბინა, ამერიკელმა ფეხი ლონივრად ამოჰკრა უმცროსს და ბურთივით გადაისროლა. გონწასუ-


ლი ბავშვი მძიმედ დაეცა. უფროს ძმა ძმამ აიყვანა უმცროსი და შინისაკენ გასწია. გზაზე მოსულიერდა უმცროსი ძმა და ტირილი დაიწყო.

შებინდებისას, როცა პოლინეზიელი ბიჭების ქანცმილეული მშობლები აეროდრომიდან დაბრუნდნენ, ძმებმა შესჩივლეს, — ამერიკელებმა გვცემესო.

ძველმა მებადურმა ამოიოხრა, უმცროს შვილს თავზე ხელი გადაუსვა და ანუგეშა:

— ამერიკელების პარპაშს მალე მოელება ბოლო. ჩვენს კუნძულზე იმიტომ მობრძანდნენ, რომ მონებად გვაქციონ. გათენებიდან დაღამებამდე უფასოდ გვამუშავებენ და როგორც ძალლებს ისე გვეპყრობიან. მაგრამ, არა, ამერიკელები ვერ მიაღწევენ მიზანს. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მათ, შვილო...

ნახატები ფლ. ტოროტაძისა





II. გაიცი

ნახატი ალ. გიგოლაშვილისა

დაბადების დღე

პიესა 1 სურათად

მონაწილენი: დედა, ლია—10 წლის, გოგი—7 წლის.
ოთახში მაგიდა გაწყობილია. ლია ითვლის თეფშებს.

ლია — თინიკოს, ნინიკოს, თამრიკოს, ელიკოს,
ლელიკოს.... ასეც ვიცოდი! (ყვირის)
დედა, თეფშები აქლია!

დედა — (შემოდის) ლია, გულახდილად მითხა-
რი: რამდენი ამხანაგი გყავს დაპა-
ტიჟებული?

ლია — ბევრი არა, დედიკო, სულ ერთი...
ერთი რგოლი.

დედა — რგოლი?! მერე რამდენია თქვენს
რგოლში?!

ლია — ბევრი არა, დედიკო, სულ თორმეტი
გოგონაა, მაგრამ ხილის თეფში, რომ
მარტო ექვსი გვაქვს!

დედა — მეზობლისაგან დაგვჭირდება თეფშე-
ბის თხოვება (მიდის კედელთან და იძახის)
პატივცემულო მარო!

გოგის ხმა — დედა შინ არ არის, კინოში
წავიდა.

ლია — ასეც ვიცოდი!

დედა — მოითმინე, ლია! გოგი, გენაცვალე,
მონახე ხილის თეფშები და ექვსი
ცალი მათხოვე.

გოგის ხმა — ახლავე!

დედა — ოლონდ ფრთხილად, არ გავიტყდეს.
ოჰ, ნამცხვარი სულ გადამავიწყდა!
(გადის)

ლია — (ითვლის სკამებს) თინიკოს, ნინიკოს,
თამრიკოს, მარიკოს...

გოგი — (შემოდის თეფშებით ხელში). აჸა, ლია.

ლია — გმაღლობთ, გოგი. ეს მეშვიდე თეფ-
ში რაღად გინდოდა?

გოგი — ყოველი შემთხვევისათვის! (იქაურობას
ათვალიერებს) რა ლამაზია დღეს თქვე-
ნი ოთახი! ზეიმი გაქვთ?

ლია — არა, მაგდაგვარი არაფერი! (შემოდის
დედა ნამცხვარით)

ლია — უჰ, რა კარგი ნამცხვარია, დედიკო,
მომიჭვრი!

დედა — მოითმინე, ლია, სტუმრები მოვლენ
და მაშინ გავჭრით.

გოგი — მეც ძლიერ მომწონს! რით არის
გამომცხვარი, ვაშლით თუ მურაბით?

დედა — შენ რით გიყვარს?

გოგი — მე... ყველაფრით მიყვარს.

ლია — ეს უარაფროთ არის!

გოგი — მე უარაფროთაც მიყვარს.

დედა — მაშ კარგი, დღეს ლიას დაბადების
დღეა და შენც ჩვენი სტუმარი იყვი!

გოგი — გმადლობთ, მე ძალიან მიყვარს სტუ-
მრობა. ახლავე... (გარბის)

ლია — ნეტავ ვინა გთხოვა, რომ დაპპატიქე?

ლელა — როგორ, თქვენ ყოველთვის ერთად
თამაშობთ, და დღეს რა დაგემართა?

ლია — ის, რომ დღეს აქ გოგონები იქნებიან.
ისინი დამცინებენ, რომ ასეთ პატა-
რას თავს ვუყადრებ. მე დღეს ათი
წელი მისრულდება და მაგას ვინ
იცის, როდის შეუსრულდება შვილი.

ლელა — სირცხვილია, ლია, შენი საქციელი
არც მეზობლურია და არც ამხანაგური.

ლია — მაგისთვის სტუმრად სიარული ადრეა.

გოგი — (სკამი შემოაქვს) ესეც... თორემ ყველას
არ გეყოფათ სკამები. (გარბის)

ლელა — გმადლობთ.

გოგი — (კიდევ შემოაქვს სკამი) — ი, კიდევ...

ლელა — კარგი, გოგი, გმადლობთ.

გოგი — (მესამე სკამი შემოაქვს) ესეც ასე! აბა,
მომებმარეთ და პიანინო გამოვათრიოთ.
(გარბის)

ლელა — (იცინის) რას ამბობ, გოგი... არ გვინ-
და, გენაცვალე!

გოგის ხმა — დეიდა კატო, თქვენი ჩაიდანი
დუღს.

ლელა — მოვდივარ! (გადის. ლია მაგიღას აწყობს

გოგი — (მოდის მორთული და აკაცუნებს კარზე)
შეიძლება?! გამარჯობათ! საღამო
მშვიდობისა, როგორა ბრძანდებით,
გმადლობთ, არა გვიშავს. ი, ახლა
მე ნამდვილად მოვედი სტუმრად. გი-
ლოცავთ. დაბადების დღეს!

ლია — (მოღუშვით) გმადლობთ! (ითვლის თევზებს)
თინიკოს, ნინიკოს, თამრიკოს...

გოგი — მე, ლია, მე სადღა დავჯდები?

ლია — შენ? ჩემი აზრით, შენი ძილის დროა!

გოგი — რას ამბობ, ლია, სულაც არ მეძინება!

ლია — მე კი ვწერავ, რომ გეძინება, დიას,
გეძინება. შენს ტოლებს დიდი ხანია
სძინავთ. აბა, რად გინდა, რომ იჯ-
დე და თავი აკანტურო.

გოგი — მე უკვე დღეს ორჯერ მეძინა.

ლია — შენ უკვე თვალები გეპრუშება!
(ჯდება სკამზე და ეცემა)

გოგი — (მიგარდება) ლია, ხომ არაფერი იტკინე?

ლია — (იშმენდს გვერდს) შენც მოათრიე ეს
სკამი, რაღა... აპა, კამფეტი, ნამ-
ცხვარი და წადი...

გოგი — თუ ასეა, მე არც შენი კამფეტი მინდა
და არც ნამცხვარი... მე შენთან აღ-
რასოდეს... (მიღის)

ლია — გოგი!

ლელა — (შემოღის) აი, ჩაიც. გოგი სადლა?
ხომ არაფერი აწყენინე?

ლია — არა, მას თვითონ ეწყინა, კამფეტი
მივეცი და ეწყინა, აქვე დაყარა. სა-
დაცაა გოგონები მოვლენ. (მოისმის
ქუთილის ხმა, გაიღლებს) ვაი, ეს რა არის?
(მიირბენ ფანჯარასთან) დედა, უცქირე,
როგორ მოიღრუბლა (მოისმის წევის ხმა)

ლელა — (მიდის ფანჯარასთან) მე მგონი, ასეთ
თავსხმაში არავინ მოვიგა, ჩემო ლია,
ისე გამოდის, რომ შენი დაბადების
დღე მარტი მე და შენ უნდა ვა-
ჟეომოთ.

ლია — ნამცხვარიც შესანიშნავი გამოვიდა,
სკამებიც შევაგროვეთ, თევზებიც, და
ყველაფერი ტყუილად... როდისლა
მოვლენ! როგორი მოსაწყენია, სტუ-
რები რომ არ არიან! დედიქო, იცი
რა... „იმას“ დაუძახე.

ლელა — ვის?!?

ლია — (მიუთითებს კადელზე) აი, იმას...

ლელა — არა, გენაცვალე, ახლა კი შენ თვი-
თონ დაუძახე.

ლია — გოგი! გოგილო!

გოგის ხმა — რა?

ლია — გოგი, მოდი ჩემს დაბადების დღეზე!

გოგის ხმა — არ მოვალ!

ლია — ახლა რაღა ვწნა?

ლელა — ამიტომ არ უნდა გეწყენინებინა.

ლია — შენი ჭირიმე, მოიყვანე როგორმე.

ლელა — აუტანელი ხარ, ლია, აუტანელი!
(გადის. ლია კარებთან მირბის. დედას შემო-
ყავს გოგი) ბოდიში მოიხადე და ყველა-
ფერი გამოსწორდება.

ლია — მაპატიე, გოგი, არასოდეს აღარ ვი-

ზამ, მოღი, აქ დაჯექი.

ლელა — მე ნამცხვარს დაგიჭრით, (ისმის ხარის
ხმა, ლია გარბის)

ლია — დედიქო! გაჭერი ნამცხვარი, გაჭერი,
ყველანი მოვიღენ, გალუმპულები.


გოგი — მე რა... შინ წავიდე?

ლია — არა, გოგი, რას ამბობ! შენ ჩემი სა-

პატიო სტუმარი ხარ!

ც ა რ დ პ

გადმოკეთებული თ. მთვარელი შვილის მიერ



დიასახლისი მათიკო



მათიკოს დედას კოლექტივში მიეჩქარებოდა. მის ბრიგადას სასწრაფო სამუშაო ჰქონდა და უწლოდა დროზე დაემთავრებინა საქმე. მათიკოც სკოლაში წასასვლელად ემზადებოდა.

— შვილო, მათიკო, სკოლიდან რომ დაბრუნდები, აბრეშუმის ჭია დააპურე. თუთის ფოთოლი იქვე, ჯარგვალში, დიდ გოლორ-

შია ჩაყრილი.— დაუბარა წასვლისას დედამ. მათიკო მარტო დარჩა. მის ხელში იყო ახლა მოელი კარ-მიდამო. დიასახლისის თვალით მოათვალიერა იქაურობა; ჯარგვალში აბრეშუმის ჭიასაც გადახედა, მურიასაც გამოესაუბრა, წიგნები ჩანთაში ჩაალაგა და სკოლისაკენ გასწიო.

უკვე შუადღე იყო, როდესაც სკოლიდან დაბრუნდა მათიკო; ძალზე ვშიოდა. ხელი დაიბანა, საუზმე გამოიღო და ჭამას შეუდგა. უცებ მოაგონდა დედის დანაბარები. შეწუხდა, საუზმე მიატოვა და ჯარგვალისაკენ გაიქცა. კარი შეალო. ჩელტებზე ჭიებს თავები აეწიათ და საკვებს დაეძებდნენ.

— ახლავე, ჩემო პატარებო, ახლავე დაგაპურებთ. საცოდავებო, როგორ მოგშივნიათ!— ესაუბრებოდა ჭიებს მათიკო და თანაც ჩელტებზე თუთის ფოთლებს ჰყრიდა.

აბრეშუმის ჭია შეესია საჭმელს.

მათიკომ სიამოვნებით მოავლო თვალი ჩელტებზე მოშრიალე აბრეშუმის ჭიებს, კმაყოფილმა ჯარგვალის კარი გამოიხურა, ოდაში შევიდა და საუზმეს შეექცა.

იცით, როგორი სიამოვნებით ჭამდა მათიკო საუზმებს?

ზაჟარის შერაზალიშვილი

ნეტავ მოთოვდეს ამაღამ...


მე და მეზობების გიანამ,
ამირანმა და გიგამ,
გავმართეთ თხიდამურები,
გდუსუნები და ციგა.
გავმართეთ, გავაღამაზეთ,
ასე, ამრიგად, მზად ვართ
და სიხარულით მოვერით
ნამდვიდ, თოვლიან ზამთარს.
ნეტავ მოთოვდეს ამაღამ,
და როს გავახედო თვაღებს,
ნედამდე თოვლი ეფინოს
ამ ჩვენს საყვარედ მთა-ვერს.

თოვლი ეფინოს ეზოებს,
თოვლი ეფინოს ქუჩებს,
სიჩბიღით წავართ სკოდაში,
შინ ღავბრუნდებით უცებ.
ვიმეკადინებთ... გაკვეთიდს
კარგად ვისწავლით ყველა,
მერე კი. რომ არ გავცივდეთ,
გამოვეწყობით ხედად;
გამოვეწყობით და გავწევთ
თხიდამურებით. ციგით...
ჭერ სწავლა, მერე თამამი,
აი—ნესი და რიგი!



გასართობი

გამოცანები



1.

გამოცანას მოგახსენებ,
გამოცნობა ადვილია:
მსუბუქია, ხმატებილია, —
იგი მწყემსის გათლილია.
ჩაპერე და დარწმუნდები —
ხმა ჰქონია საამური...
თვლები ჩაუმწკრივებია,
რა იქნება? —

.....

2.

— კაკ-კუკ, — ხეზე ოსტატობს,
შრომაშ როდი მოღალა,
შეუძლია ტყისათვის
სარგებლობის მოტანა.
ტყის მეგობარს ვეძახით
მას რა ჰქვია? —

.....

გ. ბეციაშვილი

წიწილების საჩეკი მანქანა

0 6 3 7 8 1 0 7 0

ბავშვებო, ყველას გინახავთ, რა თქმა უნდა, როგორ მოსწიწინებენ გაფხორილ კრუხს ახლადგამოჩეკილი, ოქროსფერი წიწილები. თქვენ ძლიერ გიყვართ სასაცილოდ აფუსფუსებული ღაბუები; ხშირად დაგითვლიათ კიდეც წიწილების ოჯახი და ის ათ-თხუთმეტს, ან ბევრი-ბევრი, ოცს არ ასცილებია.

მაგრამ არის ერთი შესანიშნავი „კრუხი“, რომელიც ერთდროულად ათასობით წიწილასა სჩეკს; მას ინკუბატორს უწოდებენ, ის უზარმაზარი, სახლისოდენა მანქანაა და ელექტროდენით მუშაობს.

ნამდვილ კრუხს ორ თვემდე დრო სჭირდება წიწილების გამოჩეკასა და წამოზრდაზე. ამ ხნის განმავლობაში კი კვერცხს აღარ დებს და ეს დანაკლისია ჩვენთვის. ინკუბატორი კრუხს ამ მოვალეობისაგან ათავისუფლებს; მას დიდი სარგებლობა მოაქვს სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის. ახალ, გაუმჯობესებულ ელექტრო-ინკუბატორს, რომელიც საბჭოთა მეცნიერებმა გამოიგონეს, ზაფხულის განმავლობაში შეუძლია ასიათასი წიწილა გამოჩეკოს.

ატმები

სამნი ძმანი: ნიკო, სიკო
და ლევანი, სამნივ ერთად,
კალათებით ბაღს ეწვივნენ
მწიფე ატმის მოსაკრეფად.
თითო რომ ერთ ატამს ჭამდა,
ოთხს კალათში დებდა ფრთხილად;

რაც შეჭამეს, იმის გარდა
წამოილეს სპელში ხილად.
გადათვალეს და აღმოჩნდა
სულ ორმოცდარვა ნაყოფი,
არ ეჭამათ, — სულ რამდენი
ექნებოდათ გასაყოფი?

დაფით ძეძამიძე



ნახატი ი. გაბაშვილისა

ყდაშე: „ჩუქურთმის მჭრელი“—ნახატი გ. ჯაშისა

პასუხისმგებელი რედაქტორი რევაზ მარგარითი. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, მც. ბურჯანაძე,
ი. გრიშაშვილი, თ. თუმანიშვილი, მაყა. მჩევლიშვილი, ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე.

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ ГРУЗИИ № 1, Январь 1951 г. Тбилиси, Ленина 14. Изд. „Коммунист“

გამომცემობა „კომუნისტი“. წერილის მისამართი: თბილისი ღენინის 14. ვ საჩთტერ. ვ-37-38
გამომც. შეკვ. № 2 სტამბის შეკვ. № 1612/7 ტირაჟი 7000 უ 00017, ტექსტი ანულირდა გ. პ. ბერიას სახელმის პოლიგრაფიულმშინაგარენის
მუნიციპალიტეტის“ სტამბის შეკვ. № 42.